სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-09-10/143

ქ. თბილისი 19 06 2019 წ.

სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ზოგიერთი ფაკულტეტიდან სტუდენტების წარმომადგენლების არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ტექნიკური *უნივერსიტეტისა* და *ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების)* არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-12 მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის #01-05-04-133 დადგენილებისა და სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის, ბატონ რატი გურგენიძის 2019 წლის 17 ივნისის წერილის (#770331) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ თანამდებობებზე ზოგიერთი ფაკულტეტიდან სტუდენტების წარმომადგენლების ასარჩევად დაინიშნოს არჩევნები 2019 წლის 10 ივლისს.
2. არჩევნები გამოცხადდეს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე ფაკულტეტების მიხედვით:

ა) სამშენებლო ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;

ბ) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი;

გ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი;

დ) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 5 ვაკანტური ადგილი;
ე) აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 3 ვაკანტური ადგილი;
ვ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი;
ზ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
თ) ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
ი) სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 2 ვაკანტური ადგილი;
კ) არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი - 1 ვაკანტური ადგილი.
3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) სტუდენტების წარმომადგენლებს ირჩევს ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი.
4. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) სტუდენტების წარმომადგენლები აირჩევიან საბჭოს (სენატის) დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 26 ივნისიდან და დასრულდეს 2019 წლის 03 ივლისს.
6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;
ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.
7. უნივერსიტეტის შესაბამისმა ფაკულტეტებმა 2019 წლის 26 ივნისამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (ქ.ქოქრაშვილი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
9. არჩევნები ჩატარდეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.
10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
11. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #6).

რექტორი **არჩილ ფრანგიშვილი**